

საბარჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №11(241) 2021 წ. 1-15 ივნისი ფასი 1 ლარი

### გოგლაობა

## „წლიდან წლამდე გაყოლილი ემოცია“...



**30 მაისი** პატარძელის და სრულიად კახეთის ზეიმი - "გოგლაობა" - სახალხო დღესასწაული ტრადიციულად გოგლა დეონიძის სახლ-მუზეუმში აღენიშნეთ. კიდევ ერთხელ გაცოცხლდა "ნატერის ხის" ყველა პერსონაჟი, კიდევ ერთხელ გაუღერდა ბუმბურაზი მწერლის სიტყვაკაზმული რიხიანი ხმა...

გოგლამ შექმნა ეპოქა და ჩვენ, მისი თანამემამულე საგარეჯოელები ამაყად, და ამავდროულად მოწიწებით დაგაბიჯებთ პოეტის ნატერფალებზე და გოგლას გულიდან მოწურულ თითოეულ სტრიქონს ვეთაყვანებით...

მოხარული ვარ, რომ ბოლო რამდენიმე წელია სტუმრების მასპინძელთაგანი ვარ ... ამ პატივს როგორ ავერდიებო, პირქით, დღესასწაულთა დღესასწაულია...

ყოველ წელს ახალ-ახალი ისტორიებისა და მოგონებების მომსწრენი ვხდებით, რა დაღვევს გოგლას ცხოვრების ფრაგმენტებს, რა ამოწურავს მისი შემოქმედების ირგვლივ საუბარს... და მაინც - ეს წლიდან წლამდე გაყოლილი ემოციაა და ისევ მოუთმენელი მოლოდინი ახალი დღესასწაულის"...

*გიორგი ერბოწონაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*

### ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა-2021

#### ბოგორში

სოფელ ბოგორში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოსწორება-მოხრეშვის სამუშაოები დასრულდა.



#### პატარა ჩაილურში

სოფელ პატარა ჩაილურში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვითი სამუშაოები მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოხრეშვითი სამუშაოები ყველა სოფელში განხორციელდება.



### 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

#### საბარჯოში

**ბავშვთა** საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მერიის მხარდაჭერით და კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით, გამართულ ღია კონცერტზე და საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც თოჯინების თეატრის 65 წლისთავს მიეძღვნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი-გიორგი ერბოწონაშვილი დაესწრო. გამოფენაზე წარმოდგენილი ხელნაკეთი თოჯინები დაათვალიერა და ავტორებს მადლობა გადაუხადა შემოქმედებითი ღვაწლისთვის.

თამარ იორამაშვილი, მარინა შიოშვილი, მიხეილ ხოკერაშვილი და ირაკლი ლიპარტელიანი - სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი, საინტერესო და მხატვრული ნიმუშების შექმნა.



გამოფენა 6 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება და ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება შემოქმედებითი ნიმუშების გაცნობის.

საზეიმო ღონისძიება, რომელიც ახალგაზრდულ სკვერში გაიმართა, ანსამბლმა "მი-რე-ლა"-მ გახსნა მარინა ურდულაშვილის ხელმძღვანელობით.

მოწვეულმა ანიმატორებმა სხვადასხვა გასართობი ნომერი წარმოადგინეს და ბავშვებს კიდევ უფრო გაუღამაზეს დღევანდელი დღე.

#### პატარების საუფლოში

საბარჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღვთობის დღისათვის ღონისძიება გაიმართა.



*ქეთი ბრატიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პრეს-სპიკერი*



# ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა-2021

## დასასრული

### ყანდაურაში

**სოფელ** ყანდაურაში, ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და ბიზნესმენ - კახა კუმელაშვილის ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის ცენტრალური სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნული სამუშაოები შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყო.

საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის კოორდინირებული და შეთანხმებული ქმედებით, გამწვანებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის (ზებრა გადასასვლელი, საგზაო ნიშნები) სამუშაოები განხორციელდა.



## 5 ივნისი გარემოს დაცვის დღეა! ერთად ვიზრუნოთ გარემოს სისუფთავისთვის

**1972 წლის** 15 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 5 ივნისი გარემოს დაცვის დღედ გამოაცხადა.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასუფთავების აქცია გაიმართა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა და საჯარო მოხელეები ერთობლივად იღებდნენ მონაწილეობას. აქციის ფარგლებში დასუფთავდა სკვერები, ცენტრალური და შიდა საუბნო გზები.



### თოხლიაურში



**საბარჯოს** მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურში, შიდა ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ღირებულება 296 249 ლარია

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "გარდაბნის საგზაო სამმართველო" ასრულებს.


ამ ეტაპზე, სანიაღვრე არხებისთვის ბეტონის კონტრუქციის მოწყობა დასრულდა და მიმდინარეობს აფალტის საფარის დაგება.

სამუშაოები მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება.


### უჯარმა



**ბომბორის თემის სოფელ ვაჟლიანში სასამელო ფყლის დაზიანებული მიღები იცვლება**



**სოფ. ნინოჯიმიძეაში იცვლება სასამელო ფყლის ჯაბურღილის დაზიანებული ტუმბო**





# სოფლის მეურნეობა

## შეხვედრა

### სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან



**3 ივნისს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისათვის უფრო დეტალურად გაეცნო ის პროგრამები და პროექტები, რასაც სოფლის განვითარების სააგენტო გვთავაზობს მიმდინარე 2021 წელს.

შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ესწრებოდნენ **მუნიციპალიტეტის მერი ბიორბი ერბო-წონაშვილი** და ტერიტორიულ ერთეულებში მისი წარმომადგენლები, სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ლამა შალამაშვილი**, ამავე დეპარტამენტის წარმომადგენელი **ბენო ბემაშვილი**, ღვინის ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **დავით ბაძრაძე**, სოფლის განვითარების სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი **ბურამ ბერმანიშვილი**, სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი **ნიკო ჯანაშიაშვილი**, ამ სამსახურის თანამშრომლები.

შეხვედრაზე ლამა შალამაშვილიმ ისაუბრა იმ ღონისძიებების შესახებ, რასაც სოფლის განვითარების სააგენტო გვთავაზობს 2021 წელს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების ეკონომიური წინსვლისა და გაძლიერების კუთხით, იქნება ეს მრავალწლიანი ბაღების გაშენების, სანერგე მეურნეობის მოწყობის, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის, ჰის (კაბურღილის) წვეთოვანი სარწყავის სისტემების მოწყობის, გადამამუშავებელი ანდა შემხახველი ინფრასტრუქტურის მოწყობის, მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნის, მეცხოველეების განვითარების, არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობისა და თანადაფინანსების, შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემისა და აგროდაზღვევის საკითხების შესახებ.

შეხვედრაზე ქართული ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა დავით ბაძრაძემ მოწვეულ სტუმრებს გააცნო 2021 წელს სააგენტოს მიერ ქართული ღვინის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებული ღონისძიებები. ამ კუთხით უკვე დაწყებულია ვენახების კიდასტრის სამუშაოები, რომლების დასრულებაც როგორც დაწყებულია უნდა მოესწროს. ასევე დიდი ყურადღება მიექცევა ყურძნის ხარისხს, როგორც დროს ამუშავდება ელექტრონული პროგრამა, რომელიც გააღვივებს და გაამარტივებს ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებში ყურძნის ჩაბარების პროცედურას და ა.შ.

შეხვედრაზე განხილული საკითხების ირგვლივ სიტყვით გამოვიდნენ სოფლის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯანაშიაშვილი და მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი. შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს დაურიგდათ სოფლის განვითარების სააგენტოს ბიულეტენები და გახუტები.



# მართლმადიდებლობა

## წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში სად არის წმინდა ნინოს საფლავი

**ბოდი** — დაბა ისტორიულ საქართველოში (ტოპონიმის ვარიანტული ფორმებია: ბოდი (ბუდი), ბოდე, ბოდინი, ბოდისი (ბუდისი)). წმინდა ნინოს გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი. ისხენიება ძველ ქართულ წყაროებში — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“ („ქართლის ცხოვრება“), არსენ ბერისა და ანონიმურ ნინოს „ცხოვრებებში“. ამ თხზულებათა თანახმად, ბოდი მდებარეობდა ისტორიულ კუხეთში.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, დაბა ბოდი მდებარეობდა უჯარმასთან ახლოს: „და ვერეთ-ვე მოვიდეს მითი კახეთისათ და თქუეს: „ვიხილეთ ვარსკვლავი აქით მომავალი, და დაადგრა დაბასა ბოდესა კუხეთისასა“. მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო: „წარისუენით ორნი ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა-იგი გამხილა ღმერთმან ძალი მისი, და ერთი მიეც სალომეს, მხეველსა ქრისტესსა, და აღმართოს უჯარმას ქალაქსა. რამეთუ ბოდი, დაბა კუხეთისა, არა წინააღმდეგს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა. ბოდის კულა დაბა თვით იხილოს სათნო იგი ადგილი ღმრთისა“ და ყვეს ვერეთ, ვითარცა უბრძანა დედოფალმან.“

სამიდან ერთი ვარსკვლავი დაესვენა ბოდის თავზე და ამის გამო ჯვარი უჯარმაში აღმართეს. კუხეთში უჯარმასთან კი მდებარეობს მხოლოდ ბოდავად სახელდებული დასახლება და ბოდავის ღვთისმშობლის ეკლესია.

სახელწოდება ბოდი (ბუდი) მრავალ ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული. მათ შორის, აღსანიშნავია „ქართლის მოქცევა“, „ცხოვრება ნინოსი“, „ქართლის ცხოვრება“. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამ ხევსა ზედა არს ბოდეს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, შვენიერი. აქ მიიცივლა წმინდა ნინო და დაეფლა აქვე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კე(25) მეფემან ბაქარ. ზის ეპისკოპოსი, მწვემისი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე. აქუს სასახლეო დროშა. და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავამდე. და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოსი კახეთისა, პატივისათვის წმიდის ნინოსა“. ტექსტიდან ჩანს, ბოდბეს მდებარეობის ზუსტი აღწერა, მისი გუმბათიანი ეკლესიის დასახიათება, საეპისკოპოსოს გაგრძელება. იოანე ბაგრატიონთან აღნიშნულია: „ბოდბე-ქველვი, წმიდა ნინო, ბოდბლის სასახლე და, სადაც არს ეკლესია წმიდა ნინოსი და მუნ ასვენია“.

გეოგრაფიულად ბოდბის მონასტერი მდებარეობს ალაზნის აუზში, მის მარჯვენა ნაპირას, ხოლო ნინოწმინდის ტაძარი კი ივრის აუზის მარცხენა ნაპირზე. ერთი და მეორეც ლოკალიზირდება ვახუშტისეულ ჰერეთში და არა კუხეთში.

„ხოლო კვალად ნინოწმინდას ზეით თვითის იორს სამების ხევი, ვერეთვე გამომდინარე და მომდინარე ვითარცა წინათ ხევი (ნინოწმინდისა და გიორგიწმინდის ხევი). და ამის შესართავზედ ხაშმს ჰყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონაზონთა. ამას ზეით ამ ხევზედ არს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, სამებისა. ზის ეპისკოპოსი, მწვემისი ამას ზეითის ქვევისა ერწოდმდე. ესე ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა.“

წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ზეორი საეკლესიო თუ ხალხური ტრადიციით წმინდა ნინოს გარდაცვალების ადგილად ისტორიულ ჰერეთში, დღევანდელ სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარე ბოდბეს მიიჩნევენ. მოგვიანო წერილობით წყაროებში, უპირველესად კი ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიულ თხზულებაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, წმ. ნინოს გარდაცვალების ადგილად ჰერეთის ბოდბეა მოხსენიებული. შესაბამისად, ტრადიციულად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დაბა ბოდს დღევანდელ ბოდბესთან აიგივებენ. ქ. სიღნაღიდან 2 კმ-ში მდებარეობს წმ. ნინოს სახელობის ბოდბის დედათა მონასტერი, რომელიც გადმოცემის თანახმად ქართველთა განმანათლებლის დაკრძალვის ადგილზე არის აგებული. აქვეა ბოდბის ეპარქიის ცენტრიც.

სარგის კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ ისტორიულ წყაროების ბოდისი **ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოწმინდის** ძველი სახელწოდებაა, ხოლო აქ არსებული ტაძარი წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილზეა აგებული მირიან მეფის მიერ IV საუკუნეში. მკვლევრის აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, წმინდა ნინო შეწერდა კაწარეთში, აქედან იგი გადავიდა კახეთში, რომელიც ამ დროისათვის ახლანდელი კახეთის ჩრდილოეთ მთიან ნაწილს მოიცავდა. შემდეგ, მცხეთისკენ მომავალი დასნეულდა და გარდაიცვალა ბოდისში, რომელიც წყაროს მიხედვით კუხეთშია. ახლანდელი ბოდბის მონასტერი კი ჰერეთში მდებარეობს.

სარგის კაკაბაძის მოსაზრებას ეთანხმება ბაადურ მჭედლიშვილი. იგი იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ ბოდბის მონასტერი წმინდა გიორგის სახელობისაა, ხოლო ნინოწმინდის კათედრალი — წმინდა ნინოს სახელზეა აგებული, რაც, მისი აზრით, დამატებით არგუმენტს წარმოადგენს. ბაადურ მჭედლიშვილი აღნიშნავს, რომ წმინდა ნინოს ნეშტი ეკლესიის აშენების შემდგომ უნდა გადმოეყვანებინათ ნინოწმინდიდან ახლანდელ ბოდბეში, რასაც მოყვა სახელწოდებისა და საეპისკოპოსოს გადანაცვლება.

ნინოწმინდის ტაძარს მიიჩნევენ აგრეთვე წმინდა ნინოს საფლავზე აგებულად ზურაბ კიკნაძე და თენგიზ მირზაშვილი. ავტორები ძირითადად ეთანხმებიან ს. კაკაბაძის და ბაადურ მჭედლიშვილის მოსაზრებებს ბოდისა და ნინოწმინდის იგივეობის შესახებ მათ აზრს იზიარებს ლელა პატარიძეც.

ბოდისა და ბოდბის შესახებ თავისი მოსაზრებები აქვს ჯიბო ლომაშვილს. იგი ვრცლად მიმოიხილავს კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრებს და ასკვნის: „უფრო სარწმუნოა, რომ წოდების მალა მთიდან, ბოდავიდან და არა ჰერეთის ბოდბედან მოსულიყო დედოფალი შიშველი ფეხით მცხეთამდე. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ დაბა ბოდი უნდა იყოს იგივე დღევანდელი ბოდავი, სადაც გარდაიცვალა წმინდა ნინო და იქვე დაკრძალეს. ამას იმითაც ამტკიცებს, რომ არცერთ წყაროში არ არის დადასტურებული წმინდა ნინოს ყოფნა ჰერეთში, ყველგან კუხეთია, ხოლო ბოდავი სწორედ კუხეთში მდებარეობდა. ამასთან, ავტორი დასაშვებად მიიჩნევს წმინდა ნინოს საფლავის არსებობას ბოდბეში: „შესაძლებელია, გარკვეული ხნის შემდეგ მართლაც გადაასვენეს და დაკრძალეს ბოდბეში (ჰერეთში) და ამიტომაც ეწოდა მეორე ბოდი ანუ ბოდბე. ცხადია, ბოდბელ ეპისკოპოსებსაც პატივს სცემდნენ იმის გამო, რომ წმინდა ნინოს საფლავი აქ, ბოდბეში იყო. მაგრამ, კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ წმინდა ნინო არ შეიძლება გარდაცვლილიყო ბოდბეში, ჰერეთში და ის ნაცვლად კუხეთის დაბა ბოდში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. მეფე მირიანმა იქვე ააგო ეკლესია დიდშენი“. ლომაშვილის აზრით წმინდა ნინო თავდაპირველად დაკრძალეს კუხეთის საზღვრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბოდავში, დღეს იქ ბოდავის ღვთისმშობლის ეკლესია დგას. თავის დროზე ამ ადგილზეში უქადაგა ფხოველებს წმინდა ნინომ ქრისტეანობა. გამოკვლევის ავტორების (ჯ. ლომაშვილი და ვ. აბრამიშვილი) მტკიცებით, ბოდბე ჰერეთში მდებარეობს. წმ. ნინოს დაკრძალვასთან დაკავშირებით ისტორიულ წყაროებში ჰერეთი და ბოდბე გარდა ვახუშტი ბატონიშვილისა, არსად მოიხსენიება. მათივე მტკიცებით, ახლანდელი ბოდბე VI საუკუნეშია წარმოშობილი, მას შემდეგ, რაც აქ გადმოასვენეს წმ. ნინოს ნეშტი, რის შემდეგაც ბოდბეში საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა.


ბოლო დროს ისტორიული წყაროების ბოდის ბოდბესთან აიგივების ვერსია გაიზიარა. მირიანაშვილმა, რომლის აზრით ანგარიშგასაწვავია „ქართული ეკლესიის ათას შვიდას წლიანი ტრადიცია“ და ასევე ციციონ ნაჩხუნაშვილმა, თუმცა საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს და შემდგომ კვლევას მოითხოვს.



17 ივნისი – ღაზით გარეჯელის სსენების დღე

საზღვარი, მართლმადიდებლური ქაბლი კვლავ საღაოა...

ისტორიკოსი, პროფესორი ბიორბი ოთხმეზური "ახალ თაობასთან" ინტერვიუში ღაზითბარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე მეუფე იობის ქადაგებას საპატრიარქო გაემიჯნა. თქვენ როგორ აფასებთ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს?



– ღაზით გარეჯის საკითხი რელიგიურ-ისტორიულ და სამართლებრივ-პოლიტიკური კომპონენტით უნდა გადაწყდეს. რელიგიურად და ისტორიულად, ბევრი რომ აღარ ვისაუბრო, ღაზით გარეჯი ქართული ძეგლია. ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. მთლიანი სამონასტრო კომპლექსი ოდიოგან საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ღაზით გარეჯის ძეგლი ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, რასაც მე-9-10 საუკუნეების უძველესი ფრესკული მხატვრობა ადასტურებს. 1921 წლიდან, ჩვენი განსაზღვრების შემდეგ დაიწყო ეს პროცესი. მანამდე, მეფის რუსეთის დროს, საინგილოც კი საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა. 1987-88 წლებში, ჯერ კიდევ ჯუმბერ პატიაშვილის დროს, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც უფლებამოსილი იყო, სახელმწიფოს სახელით ესაუბრა აზერბაიჯანულ მხარესთან. ამ კომისიის მიზანი იყო ბერთუბნის მონასტრის დაბრუნება, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიისკენაა 4 კილომეტრით შეწეული. ბერთუბანი ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლია საქართველოსთვის, რადგან იქ თამარის ფრესკაა გამოსახული. მაშინ ეს კომისია ბერთუბანში სამჯერ მეტ ტერიტორიას აძლევდა აზერბაიჯანს.

– როგორც ვიცო, საძიებებში უცვლილა, მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა. – სამეურნეოდ უფარვის ტერიტორიაში, ჩვენ სამეურნეოდ ვარგის სამჯერ მეტ ტერიტორიას ვაძლევდით, მაგრამ კომისია მხოლოდ ორჯერ შეიკრიბა, შემდეგ უკვე 90-იანი წლები დაიწყო და გასაგებია ამისთვის არავის აღარ ეცალა. 1995-96 წლებიდან ისევ შეიკრიბა კომისია და მუშაობა განახლდა, მაგრამ შედეგი რაც არის, გასაგებია. ღაზით გარეჯში 2012 წლიდან ჩადგინეს აზერბაიჯანელი მესახდურები.

– აზერბაიჯანული მხარე ძეგლის ალბანურ წარმომავლობაზე საუბრობს. თქვენი არგუმენტი როგორია?

– წინა საუკუნის 90-იან წლების ბოლოს დაიწყო ძეგლის ალბანიზაციის თეორია. ქართულ მხარეს ამ შემთხვევაში ძალიან ძლიერი არგუმენტი აქვს. ჯერ ერთი, აზერბაიჯანელების წინაპრები ალბანელები არ არიან და მეორე, ღაზით გარეჯის მონასტრებში არის ბაგრატ მეოთხის, თამარ მეფის, დაიან ალმაშენების, დემეტრე თავდადებულის ფრესკები და თუ აზერბაიჯანული ან ალბანური წარმომავლობის ძეგლია, მაშინ ქართველი მეფეების ფრესკები რად უნდოდან, რატომ გააკეთებდნენ?! უდაბნოს მონასტრში ათასზე მეტი ქართული ნაკაწრი წარწერაა გაკეთებული მომლოცველების მიერ. შემდეგ სხვადასხვა ენაზეც განდა, რადგან მაშინ ღაზით გარეჯი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, იქ სამგზის მოლოცვა იერუსალიმის მოლოცვას უტოლდებოდა და ამიტომ ძალიან ბევრი მომლოცველი ჩადიოდა.

– რატომ აქვთ პრეტენზია? საგარეო საქმეთა მინისტრი ზაქარია აცხადებს, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ამ საკითხს სენსიტიურად უნდა მივუდგეთ, სიფრთხილედ გემართება.

– პარტნიორობა, მეგობრობა არის ორმხრივი, მე ასე მესმის, არ შეიძლება პარტნიორობა ცალმხრივი იყოს. 1921 წელს სერგო ორჯონიკიძემ პერეთი გადასცა აზერბაიჯანს, პერეთის დაბრუნებას ხომ არ ვთხოვთ. თუ პარტნიორობით ვართ, თან სტრატეგიული, თუ მეზობლები ვართ და თუ მეგობრები ვართ, მაშინ როგორ შეიძლება ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან რელიგიურ ძეგლებზე, ჩვენს ისტორიაზე გვითხრან უარი და ჩაგვიკეტონ?! ეს დაუშვებელია. არავითარი მორალური უფლება არ აქვთ აზერბაიჯანელებს, რომ ღაზით გარეჯი მითხვონ. საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც იქ სამხედრო პოლიგონი იყო განთავსებული და იქაურთა ინტერესები და ნაღვრდებოდა, ქართველი რესტავრატორები ჩადიოდნენ და მუშაობდნენ, აზერბაიჯანელებს საერთოდ თავი არ შეუწუხებიათ არასოდეს. არც პოლიგონის გატანის საკითხი დაუყენებიათ და არც არაფერი გაუკეთებიათ, რომ იქაურთა შენარჩუნებულიყო ჩვენ. ქართველებმა შეინარჩუნეთ და ეს არის რეალობა, რომელსაც ვერავინ გაექცევა. მოგესხებათ, საბჭოთა კავშირის დროს რესპუბლიკებს შორის მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვარი იყო. არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საზღვრის დადგენა ამ სახელმწიფოებს შორის, სწორედ ამ ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით უნდა მოხდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად იქ უნდა გაიყოს საზღვარი. საბჭოთა კავშირის რუკების მიხედვით საზღვარი გადის იმ მთის თხემზე და უდაბნო აზერბაიჯანის შემადგენლობაში ექცევა, მაგრამ არის ისეთი რუკებიც, რომელთა მიხედვითაც, საზღვარი გადის სხვაგან და უდაბნო საქართველოს შემადგენლობაშია მოქცეული. აქ მთავარი ის არის, რომ არ არის საზღვრის დემილიტაცია-დემარკაცია ჩატარებული და ეს პროცესი ერთხელ და საბოლოოდ უნდა დაიწყოს და დასრულდეს.

– თურქეთის გარდა, არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან არ გვაქვს საზღვრები დადგენილი. რატომ? ალბათ ძალიან მძიმე პროცესია წინ.

– მართლაც ბრძანებთ. ეს ურთულესი საკითხია, მაგრამ ამისთვის სახელმწიფოში სპეციალური უწყებები არსებობენ და სწორედ მათ უნდა იმუშაონ ამ საკითხებზე და პრობლემა უნდა გადაჭრან. უნდა შეიქმნას კომისიები და უნდა დაიწყოს მუშაობა.

– თქვენ მკითხეთ, რატომ? საბჭოთა კავშირის დროს პირობითი საზღვრები არსებობდა, უფრო ზუსტად კი ადმინისტრაციული. რაც შეეხება თურქეთს, თურქეთთან საზღვარი იმდენად გვაქვს დადგენილი, რომ ეს იყოს საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი. შევარდნაძესთან დემიურელის პირველი მოთხოვნა იყო, ჯერ საზღვრების რაციონალიზაცია მოეხდინათ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა სხვა თემებზე საუბარი. ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა ქვეყანა თავის საზღვარს და ჩვენ არც ერთ მეზობელთან არ გვაქვს საზღვარი დადგენილი. რაც აქამდე მოახერხა ნაციონალურმა მოძრაობამ, იყო ის, რომ ხუჯაბის მონასტერი სომხეთს გადასცა. ახლა სალომე ზურაბიშვილს უკვირებენ, რომ მან გამოიწვია ეს პრობლემა, არა, ეს პრობლემა დიდი ხანია გვაქვს და უნდა გადავწყვიტოთ.

„ახალი თაობა“

ღაზით გარეჯელი

VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთი ათცამეტი ასურელი მამათაგანი, წმინდანი (ხსენების დღე — ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი). თავდაპირველად ზედაზნის მონასტერში მოღვაწეობდა, შემდეგ კუხეთში გარეჯის მრავალმთის სანახებში დაუარსებია მონასტერი (დავითგარეჯა), რომლის პირველი წინამძღვარი თვითონ ყოფილა. დასაფლავებულია დავითის ლავრის მთავარ ტაძარში

ღაზით გარეჯელი ქართლში მოვიდა ანტიოქიიდან VI საუკუნის შუა წლებში და გარეჯის კლდოვან მთებში დააარსა მონასტერი, რომლის პირველი წინამძღვარი თვითონ იყო. თავდაპირველად დავითი და მისი მოწაფე ლუკიანე ბუნებრივ გამოქვაბულში დაბინავდნენ, მინდვრის ნაყოფითა და ირმის რძით საზრდოობდნენ. ირმის მოწველის ეპიზოდი შემდგომში გაგრძელებული სიუჟეტი გახდა ქართულ იკონოგრაფიაში (დავითის ლავრა, ბერთუბნის მონასტერი, უდაბნოს მონასტერი და სხვ.). რუსეთის წარჩინებული მკვიდრის ბუბაქარის დახმარებით ააგო ეკლესია, რომელიც შემდგომში ფერისცვალების ეკლესიად იწოდებოდა და სადაც დასაფლავებულია დავით გარეჯელი. ზეპირი გადმოცემით დავითის სახელი უკავშირდება თბილისის მამადავითისა და ქაშვეთის ეკლესიათა ადგილებს, სადაც დავითს უცხოვრია გარეჯაში წასვლამდე. დავით გარეჯელის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცებას და ჯერ კიდევ შემორჩენილი წარმართის მოსახლეობის გაქრისტიანებას. დავითის ინიციატივით მისმა მოწაფეებმა დოლომ და ლუკიანემ გარეჯის სანახებში დააარსეს ახალი მონასტრები.

ღაზით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა აღუწერიათ მისი გარდაცვალებიდან ახლო პერიოდში, მაგრამ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ხელახლა შედგენილ „ცხოვრებათაგან“ ცნობილია ორი რედაქცია: პირველი დაწერილია X საუკუნეში და ითვლება მოკლე რედაქციად, მეორე — XII საუკუნეში და ითვლება ვრცელ მეტაფრასტულ რედაქციად.



„ჩვენ, აზერბაიჯანელებს, ოდესმე იმ გვილოცვია?!“

სამართმელოში დაბადებული აზერბაიჯანელი, რუსეთის მოქალაქე, პოლიტოლოგი, საზოგადო მოღვაწე შილადი აბასოვი ღაზით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ვიდეო მიმართებით გამოეხმაურა:

“მოლოდინი, გადახვედით მხარეთა არგუმენტებს: ქართველების ვერსიით, ღაზით-გარეჯის მონასტერი 1400-ზე მეტი წლის განმავლობაში მორწმუნე ქართველების სალოცავი და ქართველი სასულიერო პირების ღვთისმსახურების ადგილია; თავის მხრივ, აზერბაიჯანული მხარე ირწმუნება, რომ ეს არა ქართული, არამედ ალბანური ტაძარია, ხოლო აზერბაიჯანელებისთვის – ისტორიული ძეგლი მინდა, ვკითხო ჩემს აზერბაიჯანელებს: ძვირფასებო, რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, ვინ დაიწყო ამ ტაძრის მშენებლობა პირველად – ალბანელებმა თუ ქართველებმა? ამას აზერბაიჯანელებისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს?! ეს მთელი კომპლექსია, რომელიც ასწლეულების განმავლობაში შენდებოდა, რამდენადაც ვიცო, მისი მშენებლობა მეოთხე საუკუნეში დაიწყო და შემდეგ გააგრძელეს ქართველებმა. იცით ისიც, რომ ქართველებისთვის ეს არა ისტორიული ძეგლია, როგორც აზერბაიჯანელებისთვის, არამედ სასულიერო სიწმინდე, სალოცავი, სადაც წმინდანთა ნეშტები განისვენებს, ანუ ადგილი, რომელსაც ქართველები უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებიან. იცით ისიც, რომ ქართველი სასულიერო პირები იქ დღემდე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ერთი სიტყვით, ეს ქართველებისთვის წმინდა ადგილია და არა უბრალოდ ტერიტორია, არა უბრალოდ მიწა, არამედ საკრალური ადგილი, რომლის დასაცავადაც ისინი იბრძვიან, რადგან თვლიან, რომ ეს მათი ერთგვარი ვალდებულებაა ღმერთის წინაშე. ჩემო აზერბაიჯანელებო, მოდით, ეს კარგად გაითავისოთ და ნუ აღვიქვამთ ქართველების ამ ხედვას ტერიტორიულ პრეტენზიად, რადგან ამას ტერიტორიულ პრეტენზიებთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენ ვსაუბრობთ მიუღეს სამონასტრო კომპლექსზე, რომლის ნაწილიც ბოლშევიკების დროს საზღვრების დანაწილებისას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოექცა. მეტსაც გეტყვით, გჭვი მაქვს, რომ ბოლშევიკებმა საზღვარი გამოზნულად გაატარეს იმგვარად, რომ ქართველებისთვის წმინდა ადგილის ნაწილი აზერბაიჯანულ მხარეს აღმოჩენილიყო, რათა შემდგომში ეს ორ ხალხს შორის შენელებული მოქმედების ნაღმი გამხდარიყო და მათ ასწლეულების განმავლობაში ემტროთ ერთმანეთისთვის ამ მონასტრის გამო. აზერბაიჯანელებისთვის კი ეს მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტურული ძეგლია – მეტი არაფერი. აქედან გამომდინარე, ვასაგები ხდება, რომ ეს ადგილი ქართველებს ეკუთვნის და არა აზერბაიჯანელებს. ჩვენ, აზერბაიჯანელებს ოდესმე იქ გვილოცია? ჩვენს ისტორიაში მოიპოვება რაიმე ცნობები იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანელებს ამ კომპლექსის მშენებლობაში ოდესმე მიუღიათ მონაწილეობა? – არა. მაშ მოდით, უფრო კეთილგანწყობილები ვიყოთ ქართველების მიმართ. წავიდეთ დათმობაზე, ეს ხომ მათთვის სულიერების საკითხია და არა ტერიტორიული და ასეთი საკითხების გადაჭრისას მამ მას პატივი უნდა სცეს “აცხადებს ვიდადი აბასოვი





ბანათობა

ლიბერალური პარტიის ლაუჩაში  
სკოლა ჩემი ნავსაყუდელი,  
ჩემი მეორე ოჯახია



მშობლიური სოფლის, ყანდაურის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 22 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა. როგორც იხსენებს: აქედან დაიწყო მისი „ცხოვრებისეული გამოცდა და ძირითადი ადამიანური მისიის შესრულება“.

დღეს ლია შენგელიძე ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორია. მისი სკოლის მოსწავლე-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ სხვადასხვა პროექტებში. სკოლა ინკლუზიური სწავლების კუთხითაც გამოირჩევა. ქალბატონი ლია ასევე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია და მისი ლექსები იბეჭდება ჟურნალ „ათინათში“. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრიცაა და ახლახან აღნიშნულმა ორგანიზაციამ ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მას იაკობ გოგებაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია მიანიჭა.

კიდევ ერთი ერთი გატაცება აქვს ცხოვრებაში - ყვავილები, რაც მისთვის „ყოფითი ყოველდღიურობიდან ერთგვარი „ლირიკული გადახვევა“...“

- ქალბატონო ლია, რა ადგილი უჭირავს სკოლას თქვენს ცხოვრებაში?

- სკოლა ჩემი ნავსაყუდელი, ჩემი მეორე ოჯახია. სწორედ სკოლას უკავშირდება ჩემი ცხოვრების მრავალი შინაარსიანი ფურცელი. ის სულთა სამკალოა, სადაც მაქვს მთავარი პერსონის როლის შემსრულებლის პატივი. სკოლის გარეშე არსებობა წარმოუდგენლად მიმანია. როცა ხეულში სასიკეთო მარცვალს დებ, დრო მოსავლის მოწვევამდე, მოლოდინი შრომის შედეგისა სიცოცხლეს გიღამაზებს, გრძნობ, რომ ცხოვრობ, ვიღაცას სჭირდება და არსებობს ემსახურები. ბავშვები - ეს მთელი სამყაროა და ამ სამყაროს სიახლოვეს ბედნიერი ვარ.

- სანამ დირექტორი გახდებოდი, სკოლაში ფაქტობრივად მთავარ საგანს - ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდით, პროფესიონალურად რა შეგძინათ იმ პერიოდმა?

- მაშინ 22 წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლიური სოფლის ყანდაურის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწვე მუშაობა. აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრებისეული გამოცდა და ძირითადი ადამიანური მისიის შესრულება. ჩემს პროფესიულ განვითარებაში ღრმის წილი მიუძღვით ჩემს ყოფილ მასწავლებლებს: დედას, ყანდაურის საშუალო სკოლის მასწავლო ნაწილის გამგეს - დალი ბუკაშვილს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს - ნინო ცხოვრებაძეს, გეოგრაფიის მასწავლებელს - ეთერ კუმელაშვილს, ბიოლოგიის მასწავლებელს - მაყვალა ჩოთაიშვილს, კიდევ მრავალს, ასევე ჩემს ახალგაზრდა მეგობარ-კოლეგებს, უპირველესად კი - ბავშვებს.

- ასწავლო და ამასთან თავდაც ინსწავლო - სკოლა ორმხრივი პროცესია?

- დიახ, ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ მე არ ვასწავლიდი, ბავშვებისგანაც ბევრს ვსწავლობდი. დღემდე მომდევნო მოსწავლეებისგან მონიჭებული კმაყოფილება, რომელსაც ჩემი შრომის შედეგი იწვევდა, სიბო, სიყვარული, რომელსაც მათგან ვგრძნობდი. დღეს ისინი სხვადასხვა სფეროს წარმატებული მუშაკები არიან; ექიმები, მასწავლებლები... ასე ვთქვათ, ჩემი პედაგოგიური დებოუტი ყანდაურის საჯარო სკოლას უკავშირდება, სადაც „სულიერი მწვერთვის“ პირველი და, ამასთანავე, წარმატებული ნათლობა მივიღე. გაკვეთილებზე „შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვა კლასიკოსთა შემოქმედების გაცნობა-განხილვამ, მათში განფენილმა ეროვნულმა ღირებულებებმა მე და ჩემი მოსწავლეები სულიერი ძაფებით დაგვაკავშირა ერთმანეთს.

- ყველაზე უჩვეულო გაკვეთილი გაიხსენებ...

- მაშინ მასწავლებლად სულ რაღაც ორი თვის დაწყებული მქონდა მუშაობა. მე-7 კლასში გაკვეთილზე დამესწრნენ დედა და დირექტორი. გაკვეთილის თემა იყო ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ხმელი წიფელი“. ველადადი, ვცდილობდი, როგორმე თავი ხელში ამეყვანა, დედისკენ არ გამეხვია, მშობლის ფაქტორი განსაკუთრებით მოქმედებდა. ვფიქრობდი, როგორ შეაფასებდა გაკვეთილის მსვლელობას. თანდათან ისე შევიჭვრით საგაკვეთილო როლებში, რომ მე და ჩემს მოსწავლეებს „სტუმრები“ გადაგვაიწვედა. მშენიერი გაკვეთილი გამოვიდა. როცა დედას შეხვდებოდი, სახეზე სიხარული და კმაყოფილება შევნიშნე. დირექტორმა ძალიან შემაქო, დედამ კი ჩვეული სიტყვააქუნა „ორიოდე წინადადებით მითხრა, ყოჩაღ, კარგად გიმუშავიაო. განსაკუთრებული კმაყოფილება კი ეტყობოდათ ბავშვებს, რომლებმაც მთელი ძალისხმევა მიმართეს იქითკენ, რომ არ შერცხვნილიყვნენ. მევე თვითონ მითხრეს, ძალიან მაგრები ვართ, მასწავლებელი, თქვინანდა, სხვანაირად როგორ ექნებოდაო. ჩემთვის ეს გამოცდა გაკვეთილი უფრო იყო.

- დღეს უკვე სხვა სტატუსით შედიხართ სკოლაში, ნინოწმინდის სკოლის დირექტორი ბრძანდებით, მოგვიყვით თქვენს სკოლაზე...

- სკოლის დირექტორობა გაორმაგებული პასუხისმგებლობაა. ნინოწმინდის საჯარო სკოლას, სადაც 220 მოსწავლეა, თავისი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო კულტურა აქვს. აქ ასწავლიან პროფესიონალი პედაგოგები: მენტორი მასწავლებელი მანანა როსტომაშვილი, ექვსი წამყვანი მასწავლებელი: ანა მარგვიანი (სასწავლო ნაწილის გამგე), ნაირა ნარინდოშვილი, ლეილა ფაფიაშვილი, თუნა გვიშვილი, ნაირა ხარგალაძე, თამარ დიდმელაშვილი - უფროსი მასწავლებლები. თითოეული მათგანი დიდი პასუხისმგებლობითა და ინოვაციური მიდგომებით გამოირჩევა. მოსწავლე-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ სხვადასხვა პროექტებში. სკოლა გამორჩეულია ინკლუზიური სწავლების კუთხითაც, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს პროფესიონალი პედაგოგი მარიამ ყორღანაშვილი. გვაქვს კეთილმოწყობილი, შესაძლებლობების ფარგლებში, სათანადოდ აღჭურვილი საპედაგოგო ოთახი. თუ მომავალში გაუმჯობესდება სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მრავალი სიახლის დაწერვა შეიძლება.

- როგორ წარმოგიდგენიათ მომავლის სკოლა?

- პატრიოტულ-კოსმოპოლიტურ ღირებულებებზე დაფუძნებულ სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაციად, მაღალკვალიფიციური კადრებით, გამართული ინფრასტრუქტურითა და სწავლა-სწავლებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათი უნარ-შესაძლებლობების გამოვლენას ხელმძღვანელთა შექმნის.

- თქვენს კლასგარეშე საქმიანობასაც შეგვხვთ, ვიცო, რომ ესთეტი ხართ, გიყვართ ყვავილები და პოეზია...

- ყვავილები ჩემთვის ყოფითი ყოველდღიურობიდან ერთგვარი „ლირიკული გადახ-

პედაგოგის წარმატების საიდუმლო

22 წელი - სიყვარულით და

სასწავლებლით სავსე გზა

ირმა შველიძე ჩვენი გაზეთის მკითხველს ამ რამდენიმე წლის წინ გამაცნაოთ რომორც მხატვარი, დეკორატორი, შემოქმედი პედაგოგი. ირმა დღეს წარმატებული მასწავლებელია, რუსთაშვილის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს რამდენიმე წელიწადი და მასწავლებლად

პედაგოგობა, როგორც სხვა უამრავი პროფესია დამუშავებით, რომ თავისებურად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანად დასაფიქრებელია, კარგადაა გასათვალისწინებელი სტრატეგია - მიზანი და შედეგი.

პედაგოგი უნდა ცდილობდეს, რომ მუდმივად ორიენტირებული იყოს ბავშვის აღზრდაზე, რაც თავისთავში გულისხმობს ცოდნის გადაცემასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

კარგად უნდა იაზრებდე იმ დიდ წვლილზე, რასაც შენი ქვეყნის უკვდავება ჰქვია.

ვინ ვარ მე!

უბრალოდ, ადამიანი, რომელსაც ძალიან, ძალიან უყვარს ბავშვები, რადგან მათ უკან ქვეყნის მომავალს, მთელ საქართველოს ვხედავ.

ჩემი წარმატების საიდუმლო პატარების სიყვარულშია. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს მთავარი მისია - მართალი იყო უფალთან.

პედაგოგის ამ ტვირთს მუდამ უნდა ატარებდეს გულსა და გონებაში, მთელი სიმამართლი გრძნობდეს ამ დიდ პასუხისმგებლობას.

ვეთანხმები იმ აზრს, რომ პროფესიონალიზმი მუდმივ სწავლისა და მონდომების შედეგია სიახლეებთან ჰიდილი. ფეხი უნდა აუწყო „ფერხულს“, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მომავალზე, ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევები სწორედ ჩვენს მიერ აღზრდილ მოსწავლეთა გადასაწყვეტია.

ლიახ, ჩვენს ხელშია მომავალი, რომლებმაც წელგამართულმა - კარგად აღზრდილმა და განათლებულმა თაობამ გაართვათ თავი.

მთავარი წარმატების საიდუმლო ხომ მაინც შენი არჩევანია, პირნათელი და უანგარო მიდგომაა საუკეთესო არჩევანისადმი, საქმის დიდი სიყვარული.

ცხოვრებას სხვა გზებით ვგეგმავდი, თუმცა ღმერთმა ამ გზით წამიყვანა, რომელსაც არასდროს მიოცნებია. ხანდახან ვფიქრობ, ალბათ ასე უნდოდა უფალს. გზაგასაყართან ამერჩია ის ვიწრო, თუმცა გასხივონებული ბილიკი, რომლითაც მივიდოდი პატარების გულამდე, ჩაწვრილმოდო მათ უმანკო სულს, გამეზიარებინა სიხარული და - მეცხოვრა მათი ღამაში ცხოვრებით.

ასე მიყვებოდა უკვე 22 წელია ამ სიყვარულითა და სასწავლებით სავსე გზას.

ლიახ, გზა უფლისაკენ ჩემი პატარებია და სადაც უფალია, იქაა წარმატება.

და როგორია ეს გზა? - ყოველ ალიონს ვხვდები ზარის წკრიალს სკოლის ეზოში, მე თავს მოვალედ ვთვლი, შევეგებო პატარებს ღმილით, ერთად შევადლოთ საკლასო ოთახის კარი, ვისწავლოთ „ანი-ბანი“, ერთად დავითვალოთ რამდენი ჩიტი მობრძანდა ახალი დღის მოსალოცად ფანჯრის რაფასთან: „წითლად“ მოვინშო ყველა მათი გამოწვევითი ღამაში ასო-ბუკერა და ციფრი. ტაშით დავაჯივლოთ „დექის მთქმელები“. დღის ბოლოს ღმილით და სათითაოდ ვუპასუხო შეკითხვებს, რაც მათ აინტერესებთ. შეგვხვდეთ მათ მშობლებს, რათა არ გაყვეთ დარდი „დედაშვილური“, სად, ან ვისთან დატოვეს თავი-ანთი გულისა და ცხოვრების ნაწილი.

და ბოლოს, ჩემი მთავარი „წარმატების“ საიდუმლო ისაა, რომ ყველა ჩემი მარცხის მიზეზი ვეძებო ჩემს თავში და დაესახო გამოსავალი გზები. ამ ძალას კი უფალი მძლევს არასდროს დაივიწყო.

მადლობა უფალს ამ მისიისათვის.

ამ სასიამოვნო და საპასუხისმგებლო მოვალეობისათვის, რომელიც ავირჩიე - დიახ, მე პედაგოგი ვარ!..



ირმა შველიძე

საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგი

ყველა, ფერებსა და სიღამაზეში გამოხატული სამყაროა, საშუალებაა, რომელიც მამა-დედას და სახიფათო ენერჯის მმართველს. ყვავილების მოვლა, დარგვა-დათესვა და დიდი სიხარული მათთვის უფლებს. ჩემს ბაღში უამრავი ყვავილია, ძირითადად - ვარდები. გამორჩეული მიყვარს და სიწმინდე-სინაზის ასოციაციას მიქმნის თეთრი ვარდი. ჩემი ყოველი დილა ყვავილებით იწყება... პოეზიას კი ვატყობ ვერ დავარქმევ, ის ჩემუღია. ჩემი სული, გული და გონებაა სამზეოს ნაზიარები. პოეზია ჩემი „მეორე მეა“, რომელიც უფალთან განსაკუთრებულ სიახლოვეს მაგრძნობინებს, ბედისწერასავით დამდევს და არსად, არასოდეს მტოვებს. ბედნიერებაა, რომელსაც სახელს ვერ დავარქმევ!..

- მუზას მანამდე დაუმეგობრდით, სანამ ამას ვააცნობიერებდით?

- დიახ, ლექსებს ბავშვობიდან ვწერ და სხვადასხვა პურნალ-გაზეთებში ვაქვეყნებდი. ისინი ხშირად იბეჭდებოდა რაიონული გაზეთის „ივრის განთიადის“ (ამ გაზეთის შტაბგარეშე კორესპონდენტიც ვიყავი), „ლიტერატურული საქართველოსა“ და სხვა პერიოდულ ორგანოთა ფურცლებზე. დღეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი ვარ. აკადემიის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის დამაჯივლოვებს მადლობის ბარათით, ჩემი ლექსები აკადემიის ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებზე ქვეყნდება. აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფებთან. ჩემი ორი კრებული მალე იხილავს დღის სინათლეს. მათი გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო შეფერხდა. ჩემი რამდენიმე ლექსი სიმღერადაა აუღებებული.

- როდის დუმს ხოლმე პოეტი ქალი?

- ამ კითხვაზე გიპასუხებთ ჩემი ერთი ლექსით „მე ვეუბნარ“: მე ვეუბნარ, მაგრამ ჩემი დუმილი იმ ამოთქმულზე უფრო მეტია, შენ რომ სიტყვებდა გადაიშალე, გულში რომ გრძნობდა ვერ დაგეტია. მე ვეუბნარ, როგორც შორი ვარსკვლავი, ცაზე ციმციმით გადალეული და ამ დუმილით გიცხადებ გრძნობას, გრძნობას, რომლითაც მე ვარ ძლეული...



# 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის სამართაშორისო დღე

## „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!”

### ბიორბი მსაიაშვილი

**ბალიან** თბილი, მოსიყვარულე, ლამაზი, რომლის შესახებაც იცის და იფერებს. უყვარს სარკესთან ტრიალი და სუნამოს გარეშე არ გავა სახლიდან. მის თვალს არ გამოეპარება არანაირი სიახლე. აინტერესებს მსოფლიოს დროშები (ექსპილოლოგია), კულინარია (ბებოსთან ერთად აკეთებს პიცას, მასთან ერთად არჩევს ტორტის დიზაინს), არის ბებოს ნახელაყის პირველი დეკუსტორი. უყვარს ცხოველები და მათი მოვლა, განსაკუთრებით კი კუ-სი, რომელსაც სახელი ჯერჯერობით ვერ შეურჩია. როგორც ყველა ბავშვი, არის ძალიან ცნობისმოყვარე. აინტერესებს ყველაფერი – ისიც კი, თუ რა ფერის იქნება საგარეჯოს ქალაქის მერიის ჩვენი ადმინისტრაციული შენობა.



ძალიან უყვარს თავისი მეგობრები და მათი მასწავლობა. სადამოსათვის დაპატივებულებს დიდიანვე ელის და არსად გადის მათ მოლოდინში. უნდა მალე გაიხარდოს და მივიდეს სკოლაში. გიჟდება მეტროპოლიტენზე და ვერ წარმოიდგენს, რამხელა სიხარული იყო, როცა მეტროს მატარებლის მძღოლმა თავისთან ლოკომოტივში ჩაისვა.

ამასთან ერთად, დადის ცეკვაზე, სადაც უდიდეს სიყვარულს იღებს, როგორც მასწავლებლიდან, ასევე ბავშვებიდან. არის ყველაზე პატარა, დგას ბოლოში და ყველა მასზე ლაპარაკობს და ყველა მას ეყვრება.

რაც შეეხება პროფესიას – ჯერ არჩევანი ვერ შეუჩერებია. ხან დედასავით ექიმობა უნდა, ხანაც მეტროს მატარებლის მძღოლობა, ხან შეფ-მზარეულობა. ბოლოს თბილი სიდან დაბრუნებულმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში უნდა ისწავლოს. ვნახოთ, ვნახოთ!

### ბიორბი მღვებრიშვილი



**საბარძვოს** პირველი საჯარო სკოლის მეორეკლასელია. ინტერესით უსმენს პედაგოგ ვლენე შიოშვილს. მათემატიკური აზროვნების საოცარ უნარს ამჟღავნებს, ამიტომაც უყვარს მათემატიკის გაკვეთილები...

დინჯი, აუღელვებელი, დაფიქრებული და ყველაფრის თვალყურის მიმდევნებელია. კარგად არჩევს ავტომობილის გამოშვების ფირმებს, მოდელს. მანქანის მართვაც იცის, მაგრამ ჯერ საამისოდ საჭირო დოკუმენტი არა აქვს. მეურნე კაცის თვალით უყურებს სოფლის მეურნეობას და ზრუნავს ბოსტანზე, გულმოდგინედ უვლის მამიკოსთან ერთად. ისიც იცის, რა გაკლენას ახდენს ბუნება, ხეები, მცენარეები ადამიანისთვის საჭირო გარემომცველ პირობებზე. იცნობს ბოსტნეულ-ბაღნეულის კულტურებს, რომელს რა სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის და ცხოველისთვის.

მოცალებობის ქამს ფანდურზე თვითონ აწყობს ქართულ ხალხურ სიმღერებს – რად უნდა მასწავლებელი, როცა თვითონაც შეუძლია ააწყოს ერთხელ მოსმენილი სიმღერა... კოვიდით გამოწვეულ პანდემიას გაგებით და შეგნებულად შეხვდა, მაგრამ გადაწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა მასთან ბრძოლის საქმეში და აქაც „ბლოგერობა“ გამოიყენა. გვასოფს, სოციალური ქსელით როგორ მშვიდად მოგვესალმა: „გამარჯობა მეგობრებო!“ და მშვიდი, აუღელვებელი ტონით დაგვამშვიდა და აგვისხნა ნიღბის გამოყენების აუცილებლობა და თუ ვინმეს არ ჰქონდა, გვასწავლა მისი გამოჭრის, შეკერვის და გამოყენების წესები. ძალიან კარგად იცის, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ დროს ადამიანების გვერდში დგომას, დამშვიდებას, ხელის შეშველებას.

სკოლაში, კლასში ყველა უყვარს, ყველაზე ერთხანად მზრუნველობს, თანაც ტანთაც მათთან შედარებით დიდია. გარეგნულად ძალიან ჰგავს მამიკოს – მირიანს, მასავით მშვიდი და სხეებზე მზრუნველიცაა, თუმცა დედიკოსაც ჰგავს. ისიც კარგად იცის, დედამ ფარმაცევტობას, თავის საყვარელ საქმიანობას თავი დაანება და მასთან ერთად „ახლიდან შევიდა“ სკოლაში. უხარია, როცა ბებო – მზია დარბაისელი სტუმრობს ან სტუმრები პყავთ. სულსა და გულს არ იშურებს მათთვის.

სიხარული მოაქვს მისთვის ზამთარს, ზაფხულსაც. ყოველთვის ბაკურიანშია არდადეგებზე, „სკუტერს“ ისე დაატარებს, არ გეგონოთ რამე შეეშალოს, ბაკურიანის ყველა ლამაზი ადგილი იცის, თუ მასთან ერთად მოხვდით, სიამოვნებით იკისრებს „გიდობას“, სასიამოვნოდ გაგატარებინებთ დროს.

### ბობონა, რომელიც თავისუფლად ფლობს სამ ენას

**მელანია ბაბაიძე** ოთხი წლის ლამაზი, სერიოზული, დინჯი გოგონაა. ალბათ ჯერ ლაპარაკიც არ შეეძლო და სიარული, როცა სოციალური ქსელების საშუალებით მულტფილმების პერსონაჟებს დაუმიჯნობდა. სწორედ მულტფილმების პერსონაჟების საუბრებიდან ისწავლა გამართულად ქართული დეა თუნდ დაიჯერეთ, თუნდაც არა, რუსული და ინგლისური ენებიც. დიალოგებსაც ისმენს სამივე ენაზე. თავად ისე გამართულად საუბრობს რუსულ და ინგლისურ ენებზე, ეჭვს ვერ შეიტანთ – ის ან რუსი გეგონებათ, ან ინგლისელი. მართალია, დედიკო საღამოე ნოხელი ინგლისური ენის სპეციალისტია, თარჯიმან-რეფერენტ, მაგრამ არც შეაწუხებს, იცის, დრო არ აქვს.



უყვარს ცხოველები, ხატვა და ძერწვა. თავისი სამყარო აქვს, ბავშვური, ზღაპრული, საოცნებო... ხშირად ძერწავს თავის საყვარელ ფიგურებს „რადუგას“ სათამაშო პონების მსგავსად. თავის საყვარელ პონებს ხან ფრთებს უკეთებს პლასტილინით, ხან კაბებს აცმევს, თითქოს ასულიერებს...

უყვარს ნანა ბებოს და სოსო პაპას ბაღში ყვავილების მონახულება და მოფერება. პატარა გოგონა, თავისი დიდი, დიდი სამყაროთი, რომელშიც მისი საყვარელი მშობლები და ბებო-პაპები ყველაზე კარგები, ლამაზები არიან.

# ჯანმრთელობა

## „Covid-19“ და ჩვენ

### ჩა სხვის ჩვენგანობიანი გატოვებები ახსნიან აოსკ-კოვიდ პეჩიოლს

**როცა იტალია კოვიდ-კლინიკებს კეტივს ბოლო ორი კოვიდ-პაციენტის გამოჯანმრთელების შემდეგ, ჩვენთან რა ხდება?!**

**ბოლო 24 საათში საქართველოში 821 შემთხვევა დადასტურდა. სულ შემთხვევაში ვირუსის ბავრცელებიდან დღემდე დადასტურებულია 351249 შემთხვევა. 24 საათში ბარდაიცვალა 31 ადამიანი. სულ ვირუსის საქართველოში 4982 ადამიანი ემსხვერპლა.**

კოვიდ-გადატანილ პაციენტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ვირუსის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესი ხანგრძლივია და სხვადასხვა ტიპის გართულებები ახლავს თან. პოსტ-კოვიდ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე ხშირია რევატოლოგიური პრობლემები, რომელთა ამოცნობაც შემდეგი სიმპტომების მიხედვით არის შესაძლებელი:

- კუნთების ტკივილი (მიალგია);
- სახსრების ტკივილი (ართრალგია);
- მოძრაობის გართულება;
- ზოგადი დისკომფორტი სიარულისას და სხვა.

რბილი ქსოვილების, კუნთებისა და სახსრების ტკივილი მოძრაობის გართულებასა და ზოგადი დისკომფორტის შეგრძნებას იწვევს და საკმარის გაერცვლებულ რევატოლოგიურ ჩივილს წარმოადგენს კოვიდ-გადატანილ პაციენტებში. რევატოლოგიური ჩივილები, ხშირ შემთხვევაში, კოვიდ-ინფექციის შედეგად ძვალ-სახსროვანი სისტემის მიკროცირკულაციის დარღვევით არის გამოწვეული. სიმპტომები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და ზოგჯერ მსუბუქად, ზოგჯერ კი რთულად გამოხატული ხდება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ცნობით, კოვიდის შემდგომი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი აუცილებელია მაშინაც კი, თუ პოსტ-კოვიდ პერიოდი მსუბუქი სიმპტომებით მიმდინარეობს. საბაზისო ამბულატორიული და ლაბორატორიული გამოკვლევები ზოგადი მდგომარეობის შესახებ საკმარის ინფორმაციას იძლევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ჩივილების მიუხედავად ფიზიოლოგიური დარღვევა არ ფიქსირდება. ასეთ შემთხვევაში საქმე ფსიქოსომატურ სიმპტომატიკასთან გვაქვს, რაც ფსიქოლოგისა და ფსიქოთერაპევტის საჭიროებაზე მიუთითებს. სპეციალისტების უახლესი რეკომენდაციების მიხედვით, რევატოლოგიური გართულებების მართვის პროცესში განსაკუთრებით ეფექტური **ბალნეოლოგიური მკურნალობაა**.

# COVID-19 გამოწვეულია ვირუსით და არა ბაქტერიით

**COVID-19** გამოწვეული ვირუსი მიეკუთვნება ვირუსების ოჯახს, რომელსაც კორონავირიდაე ეწოდება. ანტიბიოტიკები არ მოქმედებს ვირუსების საწინააღმდეგოდ. COVID-19-ის მქონე ზოგ ადამიანს ერთდროულად უვითარდება ბაქტერიული ინფექცია. ამ შემთხვევაში, ექიმის მიერ შეიძლება რეკომენდებული იყოს ანტიბიოტიკების მიღება.

# ადამიანების უმრავლესობა იკურნება COVID-19-ბან

**COVID-19-ით** დაავადებულთა უმრავლესობას აქვთ მსუბუქი და ზომიერი სიმპტომები და ადამიანები იკურნებიან, თუ სწორად და დროულად მიიღეს სამედიცინო დახმარება. ხველებისას, ცხელებისას და სუნთქვის გაძნელებისას მიმართეთ სამედიცინო დახმარებისთვის სამედიცინო დაწესებულებას, თუმცა წინასწარ დარეკეთ. თუ გაქვთ ცხელება და თქვენ ცხოვრობთ რევიონში, სადაც არის მაღარი და დენგეს ცხელების შემთხვევები - დაუყოვნებლივ დაურეკეთ ექიმს.

# თერმული სკანერები აღბენენ ცხელებას და არა COVID-19-ს

**ტემპერატურის** სკანერებს შეუძლიათ დაადგინონ ადამიანები, რომელთაც აქვთ ცხელება, მათ შორის გამოწვეული COVID-19-ით. თუმცა, არა ყველას, ვისაც აქვს COVID-19 აქვს ცხელება. ასევე ტემპერატურის სკანერები ვერ ამოიცნობენ ინფიცირებულ ადამიანს, თუ მას ცხელება არ აქვს. რადგან ჩვეულებრივ COVID-19-ით ცხელების სიმპტომის განვითარებისთვის საჭიროა 2-დან 10 დღემდე.

# COVID-19-ის რისკის ქვეშ არის არამხოლოდ ხანდაზმული ადამიანები

**COVID-19** ვირუსით შეიძლება დაინფიცირდეს ადამიანი ნებისმიერ ასაკში. 60 წელზე უფროს ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, როგორცაა ასთმა, დიაბეტი და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, დაავადების უფრო მძიმე მიმდინარეობის რისკის მატარებლები არიან. ყველაზე უნდა მიიღოს პროფილაქტიკური ზომები, კერძოდ, რეგულარულად დაიბანოს ხელები და შეინარჩუნოს უსაფრთხო დისტანცია.

# ჰიდროქსიქლოროქინი არ უნდა იქნას გამოყენებული

## COVID-19-ის სამკურნალოდ

**ჰიდროქსიქლოროქინი** და ქლოროქინი გამოიყენება მაღარი და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ამასთან, ჯანმო არ გირჩევთ COVID-19-ის მკურნალობას ამ პრეპარატებით, დაავადების სიმძიმის მიუხედავად. არ არის დადასტურებული, რომ ჰიდროქსიქლოროქინი და ქლოროქინი ამცირებს სიკვდილიანობას ან პოსტინფექციის ხანგრძლივობას, ამასთან, მათ გვერდით მოვლენებს მიეკუთვნება ფაღარათი, გულსისრევა ან პირღებინება.



# სპორტი ჟილანობა წინ მსოფლიო პირველობა



**18 წლის** უდაბნოელი მოჭიდავის **ლადიო მუხამადიანი**ს წლებიდან სპორტული მიღწევები საქართველოსა თუ საზღვარგარეთის საჭიდაო არენებზე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დასახული მიზნისაკენ მიზანმიმართული სწრაფვითა და შრომით ამკვეყნად არაფერია მიუღწეველი ადამიანისათვის. ლენტეხიდან უდაბნოში ჩამოსახლებული ოჯახის ხუთი დედამიწვილიდან „ნაბოლარა“ ბიჭმა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ უდაბნოს ძიუდოს შემსწავლელ წრეში პირველად ვარჯიში 2012 წელს დაიწყო მწვერთვულ ლაშა ფირცხელანის მეთაურობით. ასე, საჭიდაო არენაზე ვარჯიშში გადიოდა წლები, თუმცა რაიმე ხელშესახები წარმატებები რატომღაც იგვიანებდა. ასე იყო მიმდინარე წლებში იგი სერიოზულად მოპოვებდა ხელს ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას, რასაც მთელ თავის ძალებს და დიდ დროს უთმობდა და აი, შრომის შედეგად არ დაყოვნა – საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის სპორტულ წრეებში ეს თითქოსდა შეუძნეველი ახალგაზრდა ერთბაშად საქართველოს ჩემპიონი ხდება სამბოში. ამ გამარჯვებით დავითის წინ უფრო ფართო გზა იხსნება ჭიდაობის მწვერვალებისაკენ. იგი ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ხდება... და აი, ეს ჩემპიონატიც, რომელსაც საბერძნეთში, კერძოდ, კვიპროსში უმასპინძლა. ჩემპიონატზე დავითმა, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთი დონის ასპარეზობაში, გამოუცდლობისა და ერთგვარი სტრესის მიუხედავად, ჭიდაობა სამბოში, 79 კგ წონით კატეგორიაში შეძლო **მესამე საპრიზო ადგილის** დაკავება.

ევროპის ჩემპიონატზე სულ სამი ორთაბრძოლა მქონდა, – **გვიყვება გაზეთის რედაქციაში სტუმრად მოსული დავითი.** – აქედან, მეტოქეებთან ჩემი ორი შეხვედრა ჩემი გამარჯვებით დასრულდა, ვძლიე ბულგარულ და აზერბაიჯანულ მეტოქეებს, მაგრამ ვერ დაგვაბნე უკრაინელი მოწინააღმდეგე და საბოლოო შედეგებით III ადგილზე აღმოვჩნდი.

– **არა უშავს, როგორც დაიწყებთ სპორტსმენისათვის არც ეს შედეგია ურიტო. ვეროპის ჩემპიონატს მსოფლიო ასპარეზობა მოსდევს ხოლმე. თუ გაქვს ამ უმაღლესი დონის ასპარეზობაში მოხვედრის შანსი?**

– კი, როგორ არა, როგორც ევროპაზე III ადგილზე გასულს, მაქვს შანსი მონაწილეობა მივიღო შესარჩევ შეჯიბრებაში და ყველანიარად ვეცდები ეს შანსი გამოვიყენო.

– **დათო, სვანი შეშეღიანები ცნობილი არიან, როგორც კარგი მთამსვლელები. შენ ამ ტრადიციას „გადაუხვიე“. შენი მოჭიდავეობის ეს გადაწყვეტილებაა, თუ ამისკენ გიბიძგა ოჯახის რომელიმე წევრმა, ანუ შენი სამი ძიდან კიდევ ვინმე ხომ არ მისდევდა ჭიდაობას?**

– არა, ჩემი ძმებიდან ჭიდაობა არავის უცდია. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ვფიქრობ, ჭიდაობას და საერთოდ სპორტს, ბოლომდე გავყვები.

– **სკოლაში როგორი მოსწავლე იყავი და უმაღლესში სად აპირებ ჩაბარებას?**

– დავამთავრე უდაბნოს საჯარო სკოლა. არცთუ ისე ცუდი მოსწავლე ვიყავი. მიყვარდა მათემატიკური საგნები, ქიმია, ფიზიკა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც სპორტია ჩემი მოწოდება და ალბათ საქართველოს სპორტულ აკადემიაში დავიწვევს სწავლას.

– **დათო, თქვენი ოჯახი ლენტეხიდან წამოსულა. შენ თუ ხარ ნამყოფი თქვენს სამშობლოში და რა გააკავშირებს საქართველოს ამ თავისი ვაჟაცობითა თუ სხვა მნიშვნელოვანი თვისებებით განთქმულ მხარესთან?**

– ლენტეხში ჩემი ნათესავები, კერძოდ ბიძაჩემი დარჩენილი და რა თქმა უნდა, გვაქვს ერთმანეთში მიმოსვლა. მართალია უდაბნოს ბუნება ოდნავადაც ვერ მოვა იქაურობასთან, მაგრამაქაც შეიძლება ცხოვრება და დასახული მიზნების განხორციელება.

– **დათო, ვინ არის ჭიდაობაში შენი კუმირი, მისაბაძი ფალავანი?**

– თუ ვინმე მომწონს და მისაბაძია ჩემთვის, ჩვენი მოჭიდავეებიდან, ეს არიან ჩვენი თანამემამულე ზურაბ ლიპარტელიანი და მისი სპორტული შედეგები.

– **აბა შენ იცი, ეცადე რომ საჭიდაო არენაზე შედეგებით ამ შენს თანამემამულეს დააჭარბო/ მანამდე კი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა და წარმატებები მისურვებია.**

გივი ლაბახიშვილი

# გაზეთი „ბარეჯის მაცნე“ 10 წლისაა! „გაზეთის წაკითხვას ბოლო, შემოქმედებითი გვერდიდან ვიწყებ“...

**ნინი ბუზარია შეილი 10 წელია მეგობრობს და გულშემოტკივრობს, თანამშრომლობს გაზეთ „ბარეჯის მაცნესთან“**

**ნინი სტუდენტი და არასამთავრობო ორგანიზაცია „კარპე დიემ“-ის აღმასრულებელი დირექტორია. ნინი ჩვენი გაზეთის მკითხველმა პირველად როგორც დამწვები შემოქმედი გოგონა გაიცნო, შემდეგ კი ხშირად უხდებოდა გაზეთის გვერდებზე ნინის, გულახდილად, წრფელი სიტყვებით საუბარი ახალგაზრდობის პრობლემებსა თუ მიზნებზე. დღეს ნინის ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა.**

– **როდის გაცვანით პირველად „ბარეჯის მაცნეს“ და თქვენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა?**

– პირველად, გაზეთ „ბარეჯის მაცნეს“ სკოლის დაწყებით კლასებში გავეცანი. მახსოვს, დედაჩემი ხშირად ეცნობოდა მას და შესაბამისად, მეც მაინტერესებდა რას კითხულობდა.

ყველაზე მეტად შემოქმედებითა კუთხემ დამაინტერესა. მეხუთე კლასიდან უკვე დამოუკიდებლად ვეცნობოდი გაზეთსა და ჩემი მზერა მუდამ შემოქმედებითი გვერდისკენ იყო მიმართული.

– **საერთოდ, როგორ მიიღეთ და თუ მოგწონთ ჩვენი ახალი ვიზუალი, მრავალგვერდიანი გაზეთი?**

– ჩემი მრავალწლიანი მკითხველის სტატუსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია გაზეთის, როგორც ვიზუალი, ასევე გვერდების რაოდენობაც. ეს ყველაფერი კი ძალიან მომწონს, რადგან უფრო მეტი ინფორმაციის, რესპოდენტის დატანება მოხდება და ვიზუალური გამოსახულებებით, ფოტოებით კიდევ უფრო შეივსება გაზეთის საბოლოო სახე.

– **გაიხსენეთ პირველი წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა და რა იყო თქვენი ემოციები?**

– სულ პირველად ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა ჩემი შემოქმედების დაბეჭდვა. გაზეთის მთავარმა სახემ, ქალბატონმა თინა ილაურმა

საჯარო სივრციდან, ფეისბუქიდან გაიგო ჩემი შემოქმედების შესახებ და გადაწყვიტა თავისივე გაზეთის ფურცლებზე დაებეჭდა. დედაჩემი იყო პირველი მახარობელი, რომელმაც მაცნობა ეს ყველაფერი. მახსოვს, გაზეთი გამომიწოდა და ჩემი შემოქმედების მკითხველმა, მაინც ვერ დავიჯერე, რომ გაზეთში დამბეჭდეს. სიხარულით სხვა სამყაროში დაფორინავდი და ჩემთან ერთად ამ სამყაროს ნაწილები ჩემი ოჯახის წევრები გახდნენ.

განსაკუთრებით, ჩემი და ოჯახის სიხარულით ერთად ბუბიაჩემის სიხარული მახსოვს. ბუბიაჩემი როცა გაზეთს გავეცნო, მოციმციმე თვალები გაუხდა და სიამაყით სავსე გულში ჩამიხუტა. შემდეგ მეზობლებთან დაქონდა გაზეთი და ჩემს შემოქმედებას აცნობდა.

მისი სიკვდილის შემდეგ მისი ოთახის უჯრაში შენახულ გაზეთს წავაწვი, ჩემს ფოტოსთან ერთად. მჯერა, დღესაც ამ ყველაფერს, რომ კითხულობდეს აუცილებლად გაიბრწყინებდნენ მისი თვალები.

– **რას კითხულობთ ინტერესითა და რა გხვდებათ ყველაზე საინტერესო?**

– ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე გაზეთის წაკითხვას ბოლო, შემოქმედებითი გვერდიდან ვიწყებ... ვიცი, იქ, ის დამხვდება, რაც ყველაზე მეტად

დასასრული მე-8 გვერდზე

# ფეხბურთი ბარეჯელები „ალარ სუმრობენ“ მოგება მეოქავი ლიგის ლიდერ ბოლნისის „სიონთან“

**24 მაისს** საგარეჯოს სტადიონმა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის კიდევ ერთ საინტერესო ასპარეზობას უმასპინძლა. „ბარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე მიიღეს „ეროვნული ლიგა-2“-ის ერთპიროვნული ლიდერი ბოლნისის „სიონი“ და რომ იტყვიან „შავი დღე აყარეს“ მას. ამ თამაშამდე სიონი კომფორტული სხვაობით უსწრებდა მეორე ადგილზე მყოფ „გაგრას“, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა მეტოქეებზე და საგარეჯოში გასეირნებას თუ არა, ითვლიდა მოგებას ნამდვილად ელოდნენ. მაგრამ, მოხდა მოულოდნელი რამ, გარეჯმა მეტოქე უმანსოდ – 3:0 დაამარცხა და გულშემოტკივრებს დიდი სიხარული მიანიჭა. გარეჯელთა უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა, როცა ჯერ ნიკა გვალახარაძემ, შემდეგ კი გიორგი ხარებაშვილმა უპირატესობა დალამაშეს „სიონის“ კარებში. 2:0 გარეჯელთა სასარგებლოდ დასრულდა პირველი ტაიმი. მეორე ტაიმში ბოლნისელები შეეცადნენ გარდატეხა შეეტანათ თამაშში, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, პირიქით – გარეჯელმა ნიკა ხინთიბაძემ კიდევ ერთი გოლი გაიტანა მეტოქის კარში და ამით ლიდერს იმელები საბოლოოდ გადაუწურა. 3:0 ასე დასრულდა ეს მატჩი.

გივი ლაბახიშვილი

# გიორგი ხარებაშვილის კითხვები „ვიტ-ჯორჯიასთან“

„სიონთან“ მოგების შემდეგ, რასაც გარეჯელთა მიმართ საქმარო სტატეგია მოჰყვა ქართულ მედიას, გარეკახელებს კიდევ ერთი გამოცდა ელოდათ – 8 ივნისს ისინი უშუალო მეზობელს გათამაშების ცხრილში „ვიტ-ჯორჯიას“ ხვდებოდნენ საკუთარ სტადიონზე. „ვიტ-ჯორჯიას“ „ბარეჯს“ 1 ქულით უსწრებდა და მოგების შემთხვევაში ჩვენებურები კიდევ ერთი საფეხურით აინაცვლებდნენ გათამაშების ცხრილში და მე-4 ადგილზე დამკვიდრდებოდნენ. შეხვედრა გარეჯელებმა კარგად დაიწყეს – გიორგი ხარებაშვილმა უკვე მე-7 წუთზე გახსნა ანგარიში ბესიკ ჩიმაკაძის პასით, თუმცა თბილისელი მეტოქეები საბრძოლველად იყვნენ განწყობილი და სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს. მათ შეძლეს ტაიმის მიწურულს – 45-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება – გოლი თორნიკე მუხაშვილმა გაიტანა.

გარეჯელებმა მეორე ტაიმშიც ისევე დაიწყეს, როგორც პირველი და 52-ე წუთზე ხარებაშვილმა კარგად ისარგებლა ვაჟა ქიქავას პასით და მეორედ აიღო მეტოქის კარი.

„ვიტ-ჯორჯიას“ არც ამ გოლის მერე დაუყრია ფარ-ხმალი, მათ ზედიზედ ორი ცვლილება განახორციელეს და 64 წუთზე ზურა ძამსაშვილის ავტოგოლის წყალობით ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრეს.

ამ შემთხვევამ ვერ შეძლო გარეჯელთა ნებისყოფის გატეხა და გიორგი ხარებაშვილმა 78-ე წუთზე შესამდგ აიღო მეტოქის კარი. მან ეს გოლი ლაშა ლეკავას პასის წყალობით გაიტანა.

მატჩის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა, „ბარეჯი-1960“-მა მორიგი მე-7 გამარჯვება მოიპოვა და 23 ქულით მეოთხე ადგილზე გადავიდა. აქედან კი სულ ახლოსაა საპლითო ზონა, იქიდან კი უმაღლეს ლიგამდე ერთი ნაბიჯი რჩება. მით უფრო, რომ მესამე ადგილზე მყოფი მარტვილის „მერანი“ 1 ქულითაა უსწრებს „ბარეჯი-1960“-ს. სწორედ მარტვილში უწევთ გარეჯელებს მორიგი მატჩის გამართვა 13 ივნისს და იმედია კიდევ ერთხელ გაახარებენ გარეჯელ გულშემოტკივრებს.

„ვიტ-ჯორჯიასთან“ „ბარეჯი-1960“-მა ასეთი შემაღვენლობით თამაშა: გიორგი ბეჰკრონი, გიორგი ტყემელაშვილი, ნიკოლოზ ნოზაძე, ბიჭიკო გედენიძე, ზურა ძამსაშვილი, თორნიკე მოსიაშვილი (სტივენ ბერმუდესი 74-ე წუთი), ნიკოლოზ გულახარაძე, ნიკოლოზ ჩიმაკაძე (გურამ ხარებავა 88-ე), ვაჟა ქიქავა, ნიკოლოზ ხინთიბიძე (ლაშა ლეკავა 50-ე წუთი), გიორგი ხარებაშვილი (გიორგი ენუქიძე 88-ე). მთავარი მწვერთვითი თეზისი კობიაშვილი. კლუბის გენერალური დირექტორი ლახარე დათუნაშვილი.

ზურაბ აბულაშვილი



# წარმატებული და გამარჯვებული აი, რას ნიშნავს ნიჭიანობის გვირგვინი ღმერთს



მაისში ივანიშვილების, ლევაშვილების, ქაიხოსროშვილების ოჯახებთან ერთად დიდი ენებათაღელვა გადაიტანა საგარეჯოში – დიდხანს, კიდევ დიდხანს გაყვება თითოეულ საგარეჯოელს (აქ მთელი ქალაქი და სოფლები იგულისხმება) და კახეთსაც იმ აღრენალების გაგლეხა, რაც 15 მაისს იმ ღამეზე სავალალოდ დაწყებული გვიან ღამემდე განვიცადეთ. საოცარი იცით რა იყო? დედებს, ბებიებს, მამებს ემუდარებოდნენ პატარა გოგო-ბიჭები – ზარი გაუშვი, ზარი... მაგდამ უნდა გაიმარჯვოსო. სოციალურ ქსელში ელენე და ნიკოლოზ სამხთუაშვილების ემოციები იბნეოდა... თვალწინ მდგა ლოყებწითელი და-ძმის სახეც და მოუსვენრობაც – ბევრი, ბევრი, უამრავი ხმა უნდოდათ მაგდასათვის...

და აი, ასრულდა ყველას ოცნება, იმედი, რწმენა – მაგდას გამარჯვებისა. ჯერ ერთი, მაგდა სცენაზე ყველაზე თავდაჭერილი, სცენას მორგებული მომღერალი და ამასთან, ნაღდი, უნიჭიერესი იყო კონკურსანტებს შორის, ამასთან, არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა თითოეულ გამოსვლაზე. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, არც ერთ მონაწილეს არ თვლიდა კონკურენტად. ისე ჩანდა, მაგდა დიდ სიამოვნებას განიცდიდა თითოეული სიმღერის შესრულებისათვის. სწორედ ამითაც მონიშნა და მოიხიბლა მაგდასთვის უცხო მაყურებელი.

ქართულ მსმენელს, საქართველოს პირველი არხის პროექტით „გოისით“ არ გაუცნია საგარეჯოელი მაგდა ივანიშვილი, მაგრამ „გოისის“ ფინალში მაყურებელიდან შესული ხმებიდან 47% სწორედ მაგდამ მოიპოვა, დანარჩენი კი იმ 7 კონკურსანტზე გადაიწილა, რომელთაც მაგდამ მთელი კონკურსის პერიოდი გაიარა.

კარგად მახსოვს 2010 წლის ივნისი... საგარეჯოს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში მეშვიდეკლასელი მაგდა ივანიშვილის სოლო კონცერტი მიმდინარეობდა. სწორედ ამ კონცერტზე დაიბადა ჩემი „წინასწარმეტყველება“, რომელიც დაიბეჭდა რაიონულ გაზეთ „კახეთის კარიბჭეში“, სადაც ვწერდი – მაგდა ივანიშვილი თავისი ნიჭითა და უნარით საქართველოსაც მალე ასახელებდა... და აი, ასრულდა კიდევ... მაშინ მაგდასთან საუბრისას გაირკვა, რომ მას ფორტეპიანო იზიდავდა და მომავალში საკუთარი თავი ცნობილ პიანისტად წარმოედგინა. დრონი იცვალა... და მომღერალთა ოჯახში აღზრდილი გოგონა მალე იცვლის თავის ოცნებას და ვოკალს გაჰყვება. რა არის აქ

### გასაკვირი?

მაგდას ბებია – ნანა ქაიხოსროშვილი და მისი უფროსი და ნელი ქაიხოსროშვილი სტუდენტობისას თემურ წიკლაურთან ერთად მღეროდნენ, შემდეგ კი შესანიშნავი პედაგოგები – საგარეჯოს ამშვენებდნენ სიმღერითაც და პედაგოგიური მოღვაწეობითაც. დედა – შორენა ლევაშვილი, – უცხო ენების პედაგოგი საგარეჯოს საამაყო ანსამბლ „ჩინარის“ მომღერალია, შორენას ბიძის – ავთო ჭიკაძის მიერ შესრულებულ სიმღერას „ჩაკრულო“ ქართველი და საქართველოს ფარგლებს გარეთ მსმენელი ჰყავდა დაჰყრობილი. შორენას დედა ნაირა გურგენიშვილი სუბიშვილების ანსამბლს დაამშვენებდა, მაგრამ, მშობლებმა შეუშალეს ხელი... მღეროდა მამა – ვანიკო და ევროპა-ზიის ქვეყნებში კარგად ცნობილი მხატვარი – დათო ივანიშვილი...

მართალია მაგდა გადატვირთულია სხვადასხვა მედიასაშუალებებთან შეხვედრებით, მაგრამ სიხარულით დაგვთანხმდა ჩვენი გაზეთის მიერ შეთავაზებულ ინტერვიუზე.

– მაგდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გაზეთი „გარეჯის მაცნეს“ რედაქციისა და გაზეთის მკითხველის სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ გამარჯვებას, რაც შენ შენი ნიჭიერებით, მუსიკის სიყვარულით და შრომისმოყვარეობით მიაღწიე. შენმა გამარჯვებამ დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერება იმარჯვებს, ამასთან დაგვანახა, რა შესძლება საგარეჯოს კახეთს...

– მადლობა მოლოცვისათვის. მართალი ხართ, მხოლოდ ჩემი გამარჯვება არ გამოვლინდა, აქ გამოჩნდა ჩემი კახეთის, ჩემი საგარეჯოს ერთსულოვნება, ერთად დგომა და ბრძოლა, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის კი არა, თანადგომის, ერთად დგომის შედეგის ჩვენებაც. ყოველთვის იყო და არის საგარეჯო ჩემთვის უდიდესი დასაყრდენი ძალა.

– მაგდა, იქნებ გაიხსენო ემოცია, შედეგების გამოცხადებამდე უკანასკნელი წუთების, წამების, მოლოდინის. გარეჯნულად არ გეტყობოდა მღელვარება შემდეგ კი...?

– რა დამაიწვევს იმ წუთებს. შინაგანად ვნერვიულობდი. კარგია, თუ ეს გარეჯნულად არ მეტყობა, მაგრამ როცა გამარჯვებულის გვარი გამოცხადდა, არ ველოდი ჩემს გვარს და კარგა ხანს ვერ გავიარე, დაგვი-



ანებული რეაქცია და უკვე ვეღარ მოვლოკე ემოციები... ამ ემოციებს ვერ აღვწერ და ვერც შევაფასებ. ვერც დავივიწყებ, რადგან აქ მარტო ჩემი გამარჯვება არ იყო, აქ ჩემი გულშემატკივართა დიდი არმიის დიდი ძალა და ნება გამომქვამდა...

– მაგდა, ის, რომ შენ მუსიკის მოყვარულთა ოჯახში გაიზარდე, ეს ყველამ ვიცით. საინტერესოა, როგორ აფასებდნენ ოჯახის წევრები – იგივე შინაური თოურის წევრები შენს სიმღერებს, როცა სერიოზულად მოკიდე ხელი ვოკალს. ბებიების რეპერტუარიდან რომელი რომელი სიმღერები მოგწონს?

– როგორც უკვე აღნიშნეთ, მუსიკალურ ოჯახში ვიზრდებოდი და სულ სიმღერა მესმოდა ბავშვობიდან. ესე განსაკუთრებულად არ ვიცი, რომელი სიმღერა მომწონდა ბებიების რეპერტუარიდან, მართლა ყველაფერს შესანიშნავად მღეროდნენ და ესეც სიამოვნებით ვუსმენ მათ. დედაჩემთან ერთად ცოტა ხანი მეც ვმღეროდი „ჩინარში“, შემდეგ ჩემი გადატვირთული გრაფიკის გამო ვეღარ მოვახერხე... მკაცრი არასოდეს ყოფილა დედაჩემი, არც ბებია, ყოველთვის მაძლევდნენ სრულ თავისუფლებას ბავშვობიდან. ისე ვმღეროდი, როგორც მინდოდა და იმას ვმღეროდი, რაც მინდოდა. სრული თავისუფლება მქონდა არჩევანში.

– ახლა, ამ გადმოსახედიდან, როგორ შეაფასებ სტეფანეს გგემებს არჩევანში არც შემცდარხარ... ფინალამდე თავად სტეფანეც ალიარება: „მაგდამ რომ გაიმარჯვოს, პრეტენზია არავის ექნება, რადგან ის ნამდვილად იმსახურებს“-ო.

– სტეფანეს რაც შეეხება, მგონია რომ ყველაზე სწორი არჩევანი გავაკეთე, რადგან ჩვენზე ადრე მოდიოდა რეპეტიციებზე, ყველაზე გვიან გადიოდა, ყველას გვაძინებდა, ყველაფერში ერეოდა, ჩაცმულობით დაწყებული, თითოეული ნოტი დამთავრებული. მოკლე ძალიან სწორი არჩევანი გავაკეთე.

– სამომავლო გეგმები როგორია „გოისის“ გამარჯვებული მაგდა ივანიშვილისათვის და კიდევ, რა მოეცა ამ კონკურსმა?

– ძალიან დიდი, დიდი სიყვარული ხალხისგან. მე ჯერ 22 წლის ვარ და საოცარია, რამდენი ადამიანი იყო ჩემი გულშემატკივარი, რამდენი ჩემთვის უცნობი ადამიანი დღესაც თბილად მეკონტაქტება, მწერს სოციალურ ქსელში, მირეკავს ტელეფონზე, მანერებს ქუჩაში და თავიანთ ემოციებს გადმომცემს. ამან, რა თქმა უნდა, მეტის გაკეთების მოტივაცია მომცა, გავიციანი შესანიშნავი ადამიანები, მუსიკოსები, მომღერლები.


რაც შეეხება სამომავლო გეგმებს. ჩემს ბუნდთან ერთად ვაგრძელებ საავტორო სიმღერების კეთებას. წინ უამრავი კონცერტია, თუმცა, მე საგარეჯოში აუცილებლად გამართავ კონცერტს – ჩემი საგარეჯოსადმი სიყვარულისათვის. დღეს მე საქართველოს კონსერვატორიის მუსიკის ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. ვნახოთ, ცხოვრება მოულოდნელობებით ყოფილა სავსე.

– წარმატებებს გისურვებთ!

## გილოცვა

### დაბადების

დღეს ეულოცავთ შპს „საგარეჯოს მუსიკის პალიტეტის“ საინფორმაციო გაზეთის მაცნეს“ დირექტორს ქ. თინათინ ილაშუს,



გუსურვებთ ჯანმრთელობას წინსვლასა და გახარებას შვილებსა და შვილიშვილებში.


შპს „საგარეჯოს მუსიკის პალიტეტის“ საინფორმაციო გაზეთის მაცნეს“ დირექტორს ქ. თინათინ ილაშუს

## გაზეთი „გარეჯის მაცნე“ 10 წლისაა!

„გაზეთის წაკითხვას ბოლო,

შემოქმედებითი გეგრიდან ვიწყებ“...

### დასასრული



მაინტერესებსა და ჩემს სულთან ახლოა. მიხარია, როდესაც გაზეთის ფურცლებზე ახალგაზრდა შემოქმედებს- მხატვრებს, მწერლებს, პოეტებს ვხედავ და სიამოვნებით ვეცნობი მათ შემოქმედებას.

გარდა ამისა, საინტერესოდ მიმანია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გაწეული საქმიანობების გაშუქება, რაც ადასტურებს, რომ თქვენი გაზეთი შუამავალია ხალხსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შორის.

– გააგრძელებთ, თუ არა ჩვენთან თანამშრომლობას?

– დიახ, რა თქმა უნდა. თქვენს გაზეთთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს, როგორც მკითხველის, ასევე რესპოდენტის სახით, ამიტომ მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო გაზეთის შემოქმედებით გუნდს, განსაკუთრებით კი ქალბატონ თინა ილაშუსს.

გილოცავთ გაზეთის „გარეჯის მაცნე“ დაარსებიდან 10 წლის იუბილესა და შემდგომ წარმატებებს გისურვებთ!

– მადლობა

## მადლობა

მადლობას ვუხდის „საგარეჯოს ჯეოპოსპიტალის“ კოვიდ-ცენტრის ხელმძღვანელს ექიმ ლეილა ოტიაშვილს და მის თანამშრომლებს იმ პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის, რაც მათ ჩემი გამოჯანმრთელებისათვის გამოიჩინეს. დიახ, მათ შეუძლიათ შეუძლებელი შეძლონ, კოვიდინფიცირებულ პაციენტს გვერდით ოჯახის წევრებით დაუდგნენ, ის მიიმე, აუტანელი დღეები ზრუნვითა და ყურადღებით გაუადვილონ. მადლობა ქ-ნო ლეილა, უმრავლეს საქართველოს თქვენნაირი უდალბატო, განათლებული, კაცთმოყვარე ექიმები.

პატივიცემით ნოდარ გვირაძევილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ვერხვიანში

რედაქტორი: თინათინ ილაშუსი



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“. ტელეფონი: 599 851 143 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru